ოქმი:**ო37. 3723277001**
თარიღი:**04/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქ.ხომერიკის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,3 ოქტომბერი
ქ.ოზურგეთი
11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა: მიუხედავად იმისა,რომ მუნიციპალიტეტში ძლიერი წვიმის შედეგად შექმნილია მძიმე სიტუაცია,ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა დამსწრე საკრებულოს წევრებს და ამომრჩევლებს.

საკრებულოს წევრმა ქ.ხომერიკმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა 2022 წლის 1ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე, მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციაში და კომისიებში, ამომრჩევლებთან და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომელთა დამუშავების და მიღების პროცესში აქტიურად თავად მონაწილეობდა.მათ შორის:

---ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცება, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესი“ და ა.შ.

ქ.ხომერიკმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმა და კოლეგებმა მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ქ.ხომერიკი არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება უფლებამოსილების განხორციელებას, კოლეგიურად და ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ- ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ქ. ხომერიკი არის საკრებულოს აქტიური წევრი, საკრებულოს განათლების, კულტურის,სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი